

137
1945/2

ოქტომბრული





პროდუქტარება ველია ქვეენისა, შეერაფლით.

ოქტომბრული

საბავშვო ეფრაზალი
მდიარელოვათათვის

გამომცემლობა
„კომუნისტ“

№ 9

ოქტომბერი
1945

ქელიწაფი მებურობა

საბავშვო ლექსი კონტაქტური
კომპიანის შოვალთვითი ორბანო
„Октомври“ еженесячный детский
журнал ЦК ЛКСМ ГРУЗИИ
(на грузинском языке)

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ლენინის ქ. № 28
ტელ. 3-81-85

მ ი ნ ა ა რ ს ი

	გვ.
ნ. ბარათაშვილი — ჩველი (ლექსი) — ნახ. ნ. იანქოშვილისა	1
კ. გოგიაშვილი — რთველი (ლექსი) — ნახ. ს. ნადარეიშვილისა	2
გ. კახაიძე — ქაშაი და ღორჯო (იგაეი)	2
რ. შარვაანი — ხათუნას წერილი შამას (ლექსი) — ნახ. ი. გენერისა	3
ქვიციანი — თინას საბუქარი (მოთხრობა) — ნახ. მ. დოუშვილისა	4
ს. ქუჭუბურაძე — ზემი ლურჯა (ლექსი) — ნახ. გ. გულისაშვილისა	5
ნ. ტიხონოვი — მკობრები (ზღაპარი) — ნახ. ფ. ლაპიაშვილისა	6
ნ. შიოშვილი — ნიკოლოზ ბარათაშვილი (წერილი)	7
ვ. ოხცივა — რა ვაფიქრა ზღაპარმა? (ზღაპარი) ნახ. ნ. იანქოშვილისა	10
გ. ლალიძე — უქნარები ყოფილან! (მოთხრობა)	11
ძმები გრიშები — მელა და კატა (ზღაპარი) — ნახ. გ. გორდელაძისა	12
ი. სიხარულიძე — ფაქიზო (ლექსი) — ნახ. ს. ნადარეიშვილისა	13
როგორ განდენდნ დათვები (რუსული ზღაპარი) — ნახ. ფ. ლაპიაშვილისა	14
ნ. ნაკაშიძე — ხუმრობანი	15
ბ. კართველიშვილი — სპილოს მოფიქრება (ამბავი) — ნახ. ვ. ერისთავისა	16
კული მიმბაველობა (ამბავი)	16
გამოკანები	გარეკ. მე-3
რებუსი	გარეკ. მე-3
გასართობი	გარეკ. მე-3
შენ რომელი გირჩენია? (ლექსი) — ნახ. ვ. ჯაფარიძისა	გარეკ. მე-4
ყდაზე: „რთველი“ ნახატი შესრულებულია მხატვარ რობერტ ზაფრუხ მერ	

სარედაქციო კოლეგია: გრ. კახაიძე, ლ. ავალიანი, ეკ. ზურჯანაძე, ი. გრეშაშვილი, თ. თუმანიშვილი, გ. კახაიძე, რ. შარვაანი (პ.მე. რედაქტორი), ი. სიხარულიძე, ნ. უნაფიქოშვილი.

ნიკოლოზ ბარათაშვილი

ჩჩვილი

მიყვარს, მიყვარს, მე ტიკტიკი ჩვილის ყრმის,
 მიყვარს სმენა უცნაურისა მის ხმის,
 ოდეს იგი ენითა სასუფევლის
 უაღერსებს წიადთა თავის მშობლის!
 მის სოფელი უზრუნველობით ჰშენობს;
 გარდა დედის აღერსისას, არ რას ჰგრძნობს;
 ნებვირობით და ღიმილით სულდგმულობს;
 ყოველხავე შეუპოვრად მკვრეტელობს.
 არა ფიქრობს იგი თავისს ცხოვრებას,
 არ განიცდის იგი საწუთროს ვნებას;
 იგი თავის საწუკველითა შობით
 ამუნათებს თვისთა მშობელთ პირიქით.
 იტიკტიკე ენითა უსუსურის,
 იტიკტიკე, ვიდრე ვაში დაგხარის,
 ვიდრემდის ხარ, ყრმაო, თავისუფალი,
 არ გიცვნია სოფელი ამოდერალი!

1839 წ.

405



ნახატი ნათელა იანქოშვილისა

როველი



ნახატი სამსონ ნაღარეშივილისა

ჯერ ასეთი უხვი როველი არ გვინახავს, არსად თქმულა, რა მტევნები ოქროსფერი ჩამტკბარა და ჩაშაქრულა. გააჩაღეს სამზადისი, წამო ბიჭო, წამო როველში; რა რთელათი, რა ხალისი ჩამომდგარა ჩვენს სოფელში. აგერ, ხელაეთ? ცელქი ილო მიმაღულა ვაზის ძირში, ისე ხარბად, როგორც სპილო, მილიან მტევნებს იღებს პირში. შეხეთ ფრონტელს, ფართო მხარით ყურძენს გოდრით ეზიდება, ვინ ხუმრობით, ვინ ხარხარით უხვ მოსავალს გეგებება. რა როველი აქვს ამ მადლიან ბარაქიან საქართველოს, და მარანში სვამენ, სკლიან ღიდ ბელადის სადღეგრძელოს.

ქ. გოგიაშვილი

ქაშაპი და ღორჯო

ი ბ ა ბ ი


მეთევზემ ანკესზე ჭია წამოაგო და მდინარეში ჩაუშვა. მალე ქაშაპი გამოჩნდა. ჭიას აუარ-ჩაუარა, მაგრამ მისი შეჭმა ვერ გაბედა. ამ დროს საიდანღაც ღორჯო გამოხტა, „ქაშაპმა არ მომასწროსო“, გაიფიქრა და ჭია უმალ გადაყლაპა. უჩვეულო მწვავე ტკივილი იგრძნო. უნდოდა იქაურობას გაელოდა, მაგრამ ლაყურში ანკესი ღრმად ჰქონდა შერქობილი და დატყვევებული ღორჯო იქვე ტრიალებდა.

— ვიღუბები, მიშველეთ! — დაიყვირა საცოდავად.

— მაგ ხიფათს რომ ავცდენოდი, თავს იმტომ ვიკავებდი. წინდაუხედაობა დამღუპველია! — ჩაილაპარაკა ქაშაპმა, ბოლო ღონიერად მოიქნია და თავისთავის მადლიერმა მდინარეში გასცურა.

საბრალო ღორჯო მეთევზის ხელში ფართხალობდა.

ბიჭოში ქაშაპიძე



ხათუნას წერილი მამას

საუფარელო ჩემო მამა,
მამა, გენაცვალე,
უშენობით მოვიწვიე,
მოდით, მოდი ძაღვ.
იცით? ჩვენთან რა კარგია,
დილით ადრე ვდგები,
აღარ ვწახუბობთ. მე და გაა,
გავსდით ძეგობრები.
იცით, მამა, რა ბევრი მქექს-
შენთვის საჩუქრები,
ბებივომ რომ დაამზადა
ტკბილი ჩურჩხელები.
მოდით, უველას ენატრები,
ჩემო კარგო მამა,
ვიდრე გაიამ ჩურჩხელები
სულ არ შემიჭამა.
მე ამ წერილს საჩქაროდ გწერ,
ნუ დაშემდურები,
მოუთმენლად გელოდებით
მე და ჩურჩხელები.

რეკავა მარკოზიანი

ნახატი ირინე გეგნერისა

თ ი ნ ა ს ს ა ჩ თ ე ა რ ი

საქართველო
ბავშვთა ლიტერატურის
საქართველო

მოთხრობა

სკოლიდან მოდის თინიკო. ოდნავ ამწვანებულ ბილიკს მიჰყვება და მებრძოლთა სიმღერას მღერის, დღეს რომ სკოლაში შეასწავლეს.

ბავშვს მეტად ახარებს მოკრიალებული ლურჯი ცა, კაშკაშა მზე და იების სურნელება, ცელქ ნიავს უხვად რომ მოაქვს ბორცვებიდან.

აგერ ღრიტინა წისქვილიც. ღარში დაქანებული წყალი ბორბლებს აცეკვებს. თვალმარგალიტებად ბრწყინავენ მისი წინწკლები. ურმით საფეკავი მოუტანიათ. გამოშვებული ხარები ურმის ვევრდით ჩაღას გემრიელად ახრამუნებენ. წისქვილის კარებთან მზის გულზე ვიღაც კაცს, რომელსაც ჯარისკაცის ტანისამოსი აცვია, ცარიელი ტომრები გაუშლია, თავი ლოდისთვის მიუდვია და წისქვილის ღრიტინზე ტკბილად სძინავს, თითქოს ნანას უმღერიათ. ყავარჯნები წინ დაუწყვია, მოჭრილ ფებს ფარაჯის კალთა უფარავს, მეორე თავისუფლად გაუშლია, რომელზედაც მოზრდილი ვარია შემჯღარა და ისიც მზეზე თბება.

— საწყალი ძია, ფეხი არა აქვს! — შემკრთალი შესდგა მის წინ თინიკო და გულისტკივილით ფიქრობს:



— ფრონტზე ყოფილა, მტერი უმუსრავს. შინ ფეხმოჭრილი დაბრუნებულა, ახლა ხორბალი მოუტანია, წისქვილში დასაფეკავად.

თინიკო შეჩერდა.

— ვინ იცის, ფეხი როგორ ეტკინა, როცა მოსჭრეს? — ფიქრობს გოგონა. მისი გული თანაგრძნობით იესება, სიყვარული და პატივისცემა ამეტყველდა ბავშვის გულში ამ გპირისადმი.

— ამათ რომ მტერი არ გაერეკათ, — განაგრძობს თინა ფიქრს, — ვინ იცის ჩემ ლამაზ სოფელს რა მოუვიდოდა: ამ მთებს, ამ ჩემ საყვარელ კარმიდამოს ააოხრებდნენ! ჩვენც ხომ ყველას ამოგვწყვეტავდნენ!

ბავშვს გულში ძლიერი სურვილი აღედგრა, რომ ამ ომგადახდილს რითიმე ასიამოვნოს, რითიმე მადლობა აგრძნობინოს იმ ამაგისათვის, რაც მან ქვეყნის საკეთილდღეოდ გაიღო. უცებ თინამ რუს გღმა ბუჩქებქვეშ ლურჯად ამოფეთქილ იებს მოჰკრა თვალი და მიტრიალდა. წყალში ჩაყრილ ლოდიდან ლოდზე გადახტა, ჩირგვები გადასწია და იებს შეეხვეწა:

— თქვენი ჰირიმეთ, იებო, ჩემს მაგივრად თქვენ მიუალერსეთ, მადლობა უთხარით ამაგისათვის... — გულის ფანქალით დაკრიფა ბავშვმა იები, მემარს პაწია კონებად თავთან გვირგვინივით შემოუწყყო, ჯიბეში ერთი წითელი ვაშლი ეღო, სკოლაში არ შეჰამა, ავადმყოფ ამხანაგს გავახარებო, ისიც ფრთხილად წინ დაუღო და სოფლისაკენ გახარებული დაეშვა.

საქმიო

ნახატები მარია დაუშვილისა



ჩემი ლურჯა

ფრონტზე დასჭრეს მია ნიკო, ძლივს-ღა დადის ევანჯელით და მინდოდა, რომ სახუქრად მიმერთმია ჩემი ცხენი.

ჩემი ცხენი არის დიდი, აღარაა უბევ კვიცი,

ფეხებს კოხტად ათამაშებს, თოხარიკიც კარგი იცის. მაგრამ, მინც, მია ნიკომ დაძიწუნა სახუქარი:

— დამატყრევსო შენი ლურჯა, ვატეობ, ძლიერ ფიცნი არი! მია ნიკო არ მიჯერებს, თორემ დედას დავიფიცებ, რომ დაჭრილი კაცის ხათრით ჩემი ლურჯა არ იფიცებს.

ზურაბ ჭაბუაძე

ნახატი გივი გულისაშვილისა



ნიკოლოზ გვინოსვი

მეგობრები

ერთ ოჯახში ცხოვრობდა მოლაპარაკე თუთიყუში, ის ბებერი იყო. მეტს ფიქრობდა, ვინემ ლაპარაკობდა. მეტად მოსაწყენი იყო მისთვის მარტობა. ადამიანები თავისი ოჯახის წევრად სთვლიდნენ. მას ამ საბჭოში მყოფი ორი ძალი სულელური თვლებით უყურებდა და საინტერესოს ვერაფერს ეუბნებოდა. მათ არც შეეძლოთ მასავეთ ადამიანური ლაპარაკი, ძალღური ლაპარაკი კი თუთიყუშს არასოდეს არ მოსწონდა.

დადგა ზაფხული და ოჯახი აგარაკზე გადავიდა. აგარაკს ჰქონდა შუშაბანდი. დილით ადრე ამ შუშაბანდში გამოჰქონდათ გალია თუთიყუშით და უღებდნენ კარებს. თუთიყუში იბანდა პირს, ივარცხნიდა ფრთებს და გამოდიოდა გალიიდან. შუშაბანდის წინ იყო ბალი და თუთიყუში ამ ბალში უყვარდა ყურება. ის უყურებდა ხეებს, საბლიან მოფრენილ ბელურებს, ნამგალებს, რომლებიც დაჰქროდნენ იმჟამად, სახლის სახურავიდან— მიწამდე და მიწის შეუხებლად კვლავ ნავარდობდნენ ღრუბლებში.

მეგობარი აკლდა თუთიყუშს და აი მეგობარიც აღმოჩნდა. როგორ მოხდა ეს ამბავი,

ამის მოყოლა თვით თუთიყუშმა ცხელგარეცხა ბოლა. ერთ დღეს მან დაინახა გალიასთან ფრინველი, რომელიც ერთი შეხედვით უცხო ჩიტად ჩასთვალა. ეს ფრინველი იყო დიასახლისის მამალი.

დასაწყისში ისინი ერთმანეთს დროგამოშვებით გადაყურებდნენ, შემდეგ კი ძალიან დამეგობრდნენ. ყოველ დილით, სანამ გალიას გამოიტანდნენ გარეთ, შუშაბანდში წითელი ბიბილოს ცანცარით და თვლებს ბრილით წინ და უკან დასვირობდა მამალი. შემდეგ გამოჰქონდათ გალია და მამალსაც არავინ ავებდა შუშაბანდიდან.

მამალი და თუთიყუში დიდის მოწონებით ესალმებოდნენ ერთმანეთს. მამალი მიართმევდა თუთიყუშის საუბრეს, ზედ აყოლებდა თუთიყუშის წყალს, ნისკარტს იწმენდა თუთიყუშის გალიაზე. თუთიყუში თავის მეგობარს ფრთის შემოკრებით ემატიებოდა და სსვიროდა.

თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე პირველად იგრძნო თავი თუთიყუშმა ნამდვილ ფრინველად. მშობლებს ის არ იცნობდა, რადგან მულამ აღამაინათ შორის ცხოვრობდა. ის სვირობდა მამალთან ერთად ბალში და მამალი ძალიან მოხერხებულად ხშირ-ხშირად აწოდებდა მას მწვანე მატლებს. თუთიყუში შინჯავდა მატლის გემოს და თავისთვის შურტყუნებდა: „რა საზიზღრობა!“

მაგრამ არ უნდოდა მეგობრის წყენა და, როგორც წამალს, ხენწვით ყლაპავდა მატლს. თუთიყუში აჩერებდა მამალს რომელიმე ყვავილის წინ. ორივენი დიდხანს სტკებოდნენ ყვავილის სიმწვენიერთა და თვითუფლი ამბობდა თავისთვის: „რა საცოდაობაა, რომ ეს მწვენიერი ყვავილი ჩიტო არ არისო“.

ისინი ცხელ ჭკიზზე იღებდნენ შვის აბაზანებს, ცხოვრობდნენ წყნარად და ლამაზად. ზოგჯერ ისინი ხმა ამოუღებელი სტკებოდნენ ერთმანეთით, უვარცხნიდნენ ერთმანეთს ფრთებს, დასციროდნენ ბელურებს, რომლებიც ნამცეცხისათვის ჩხუბობდნენ.

ზაფხული ილეოდა. თუთიყუშმა იღქრა, რომ აბლოდებდა მეგობართან დაცილების დროს და მოისურვა რაიმე არაჩვეულებრივით ესაშვებინა მამალი.

ერთად გატარებულ დროის განმავლობაში მამალი და თუთიყუში სულ მხოლოდ და მხოლოდ ფრინველურ ენაზე ლაპარაკობდნენ და, აი, უყურა რა თავის შესანიშნავ მეგობარს, მის ბრქვევიალა წითელ ბიბილოს, მომწვანო-მოლურჯო ფრთებს, თუთიყუშმა დაიწყო გახსენება ყველაზე უფრო მომხიბლავი ადამიანური სიტყვების, ისინი მას თითქმის სულ დაავიწყდა, მაგრამ იყვნენ ისეთი სიტყვები, რომლებიც მას ძალიან მოსწონდა.

ეს მოხდა ბაღში საღამოს ხანს. მზე ჩადიოდა. სივრცე იყო, ირგვლივ იდგა ყვავილეების სურნელები, სიო ოდნავ არხვედა თვითვეულ ტოტს. არ ისმოდა ადამიანის ხმა. არც ერთ ივარაკზე არ უკრავდა პატეფონი. ძაღლები არ ჰყეფდნენ. თუთიყუშმა გადახედდა მამალს, მამალმა—თუთიყუშს. ორივემ ერთმანეთის თვალბეჭში ამოიკითხეს სევდა, გამოწვეული დაცილების გამო. მაშინ თუთიყუში მიუახლოვდა მამალს, დაბლა დაუკრა თავი და მოახსენა: „ხომ არ მიირთმევთ თქვენ ჩაის?“ რადგან მამალმა გაცივრებისაგან ფართოდ დაქचितა თვალები, თუთიყუშმა მას კვლავ გაუმეორა: „ხომ არ მიირთმევთ თქვენ ჩაის?“ ამ სიტყვებში მან მთლიანად ჩააქსოვა ფრინველის მეგობრული სული.



მამალმა ამოისლოკინა, თვალები დახუჭა და მოკრცხდა ბაღის სიღრმეში, შორს თუთიყუშისაგან. მას რომ ხელები ჰქონოდა, ის მწუხარებისაგან თავში დაიშენდა. მოლოწული, აზურტყული მიიმალა ხშირ ბუჭებებში.

არასდროს თავის სიციცხლეში არ განუცდია მას ისეთი საშინელი გულგატეხილობა. ის ფიქრობდა, რომ ზაფხულში მან იშვია მუგობარი—უბრალო ლამაზი ჩიტო. აღმოჩნდა კი, რომ ეს ჩიტო იყო ბრქვევიალა და ჰრელ ფრთებში გადაკმული ჩვეულებრივი ადამიანი. რა ეშმაკია ადამიანი!

მამალი ვერ პოულობდა სიტყვებს ამ შემთხვევის ასახსნელად და ამ დღიდან ირჩევდა სულ მარტობას. მამს სულ აღარ იღებდა. გაპყიოდა თავის „ყი-ყლი-ყო“-ს იმდენჯერ, რამდენჯერაც ეს იყო დადგენილი და ისიც მხოლოდ მოვალეობის შესასრულებლად.

თუთიყუში კი მიფოფბდა თავის გალი-ამდის, მწუხარებისა და შინაგანი ლელვის გამო გალანძდა თავისი დისახლისი, რომელიც მივიდა გალის გასასუფთავებლად, რისთვისაც დისახლისმა მას წყალი გადაასხა.



თარგმანი რუსულიდან ა. უ—ხა.

ნახატები ფარნაოზ დაპიაშვილისა

რა გაითქრა ზღარბმა?

ზღაპარი

ერთ ბიქს ამხანაგი არ ჰყავდა. რატომღაც მასთან მეგობრობა არავის სურდა. და აი ერთხელ წავიდა ის ტყეში ამხანაგის საქმეზე. მიდის, მიდის და გზაზე კურდღელი შემოეყარა.

— კურდღელო, გინდა გახდე ჩემი ამხანაგი?
— მინდა!

გაუდგნენ ერთად გზას. ტყის პირს რომ მიადწიეს, წინ მონადირე შემოხვდათ. შეეშინდა კურდღელს და ბუჩქს ამოეფარა.



— ბიჭიკო, კურდღელი ხომ არ გინახავს?
— როგორ არა! აი, აგერ, ბუჩქშია დამალული. — გაისროლა მონადირემ თოფი, მაგრამ კურდღლის კვალიც კი აღარსად ჩანდა.

ბიჭი ისევ მართლად გაუდგა გზას ტყეში. ჩავიდა მზე. ქარმაც დაჰმერა.

ბიჭი ჩამოჯდა ხის ძირას და ჩაფიქრა: "მოსაწყენია ამ ქვეყნად განმარტოებული ცხოვრება! უცბად ფულუროდან ციყვა გამოიხედა.

— ბიჭიკო, აქ რას აკეთებ?
— ამხანაგს ვეძებ.
— გინდა ჩემი ამხანაგი იყო?
— მინდა, — უთხრა ბიჭმა.

გახარდა ციყვს, მიიწვია ის თავის ბუდეში, წინ თხილი დაუყარა, ქვეშ კი რბილი ხავსი გაუშალა.

— ჭაშვ და ტკბილად დაიძინე.

ბიჭი დანაყრდა, გამოიძინა. დილას ადრე გაიღვიძა, შეიპარა ციყვის საკუქნაოში, ჩაიყარა ჯიბეში ციყვის თხილის მთელი მარაგი და გაუდგა გზას.

მიდის ტყეში და წინ დათვი შემოეყარა.

— ბიჭიკო, ბიჭიკო! საით მიდიხარ?

— ამხანაგს ვეძებ. იქნები ჩემი ამხანაგი?

-- ვიქნები, — უპასუხა დათუნიათ.

და ერთად გაუდგნენ გზას. ამ დროს ტევრიდან ავი ძაღლები გამოკვივდნენ. ბიქს შეეშინდა და შევედრა დათვს:

— არ მიმატოვო, ჩემო ამხანაგო!

— სწრაფად შემაჯექი ზურგზე, როგორმე გავიქცევით, — მიუგო დათვმა.



მირბის დათვი და უკან ძაღლები მისდევენ. ბიჭი კი ზის დათვის ზურგზე და თავს ძლივს იმაგრებს.

— სწრაფად, სწრაფად დათუნია!

საწყალ დათუნიას ენა გვერდზე გადმოუვარდა, გაუჭირდა ბიჭის ზიღვა, მაგრამ მაინც მოახერხა მისი დახსნა. ბოლოს დაეშვა ხის ძირას და უთხრა ბიჭს:

— მე ცოტას წაეძინებ, შენ კი მიდარაჯე.

ბიჭიც იქვე ჩამოჯდა, ამოიღო ჯიბის დანა და დაიწყო თავისთვის სალამურის გამოთლა.

უცბათ გამოჩნდა ქალი, შედგა და უთხრა ბიჭს:

— მომეცი ამ დათვის ტყავი და ფულს გადაგიხდით.

— ინებეთ, — უპასუხა ბიჭმა.

ქალმა დაიწყო ფულის თვლა, მაგრამ დათვმა ყველაფერი გაიგო, წამოდგა და ტყვეს შეაფარა თავი.

ბიჭი ისევ მარტო დარჩა.



დაღამდა. ტევრში ძაღლების ყეფა ატყდა. შეეშინდა ბიჭს. დაჯდა და დაიწყო ტირილი. მის ტირილზე სოროდან ზღარბმა გამოიხედა.

— რა გატირებს, ბიჭიკო?

— ნაწყენი ვარ, — მიუგო ბიჭმა, — სამი ამხანაგი მყავდა და სამივემ მიმატოვა...

ზღარბს გაუკვირდა, თავი გააქან-გამოაქანა:

— აქ საქმე უთუოდ სხვანაირად იქნება.

ბიჭმა ყველაფერი უამბო, რაც მოხდა.

ზღარბმა არაფერი უპასუხა, დამრგვალდა, გამოუშვა თავისი წვეტიანი ეკლები და შეგორდა სოროში.

თარგმანი რუსულიდან ელენე აგლაძისა

უქნარები ყოფილან!

მამა პატარა გოგის ხეხილის ბაღში ასე-ინებდა. შემოდგომის მზიანი დღით ნასიამონებები ბავშვი უცებ სკისთან შეჩერდა და გაკვირვებით წამოიძახა:

— შეხედე, მამა, რა ბევრი ფუტკარი მომკვდა!

მართლაც სკის წინ მიწაზე რამდენიმე მკვლარი ფუტკარი ეგდო.

— ყოჩაღ, შეილო, რომ შენიშნე, — უთხრა მამამ. ბავშვი ახლო მიიყვანა სკისთან და განაგრძო: — ეს ფუტკრები მამალი ფუტკრები არიან, შეილო, თვითონ თავს არ აკეთებენ და სხვების დამზადებულს კი სჯამენ.

— უქნარები ყოფილან!

— ჰო და, უქნარები საქმიან ფუტკრებს არ უყვართ. ახლა ზამთრდება, და სკიაში დაგროვებული თაფლი ზედმეტად რომ არ დაიხარჯოს, უქნარებს მუშაფუტკრები თავიდან იზორებენ, თუ გაუჯიუტდნენ, ხოცავენ და სკიდან გარეთ ყრიან.

გოგი დადიქრდა. შემდეგ გაელიძა და წამოიძახა:

— მე არ ვიქნები უქნარა! — მამას ხელზე წაავლო ხელი და სთხოვა იქვე ვაშლის ხიდან მწიფე ვაშლი მოეწყვიტა მისთვის.

ბ. ლალია



მელა რ კატა

ზღაპარი

ერთხელ ბატონ მელის ტყეში კატა შესვდა. რადგანაც კატა ფიქრობდა, რომ მელა ჭკვიანია, ვევალია ფურში გამოცდილია და ქვეყანასაც დიდად უწვევენ ანგარიშსო, ამიტომ მკობრულად მიესალმა:

— გამარჯვება საუკარელო ბატონო მელავ, როგორ ხართ? როგორა ბრძანდებით?

სიამოვით აღსავსე მელამ კატა თავიდან ფეხებამდე ჩაათვალიურა და დიდხანს ვერ გადაუწვივია, გაცვა ზისუსი თუ არა. ბოლოს კი უთხრა:

— ო, შე საწყალო ულ ვამებოსქმენდიავ, შე ჭრელო სულელო, შე მძიერო და შატვების ჭამიავ, როგორ მოგდის თავში ახრად, რომ მკითხო, თუ როგორა ვარ? რა გისწავლია, რამდენი ხელობა იცი?

— შე მხოლოდ ერთადერთი ხელობა ვიცი. — დაიკანჯულა მორიდებით კატამ.



— რა ხელობა?! — ჭკითხა კვლავ მელამ.

— როდესაც ძაღლები გამოძევიდებიან, მაშინ შემოდინან ხეზე აფოფსდე და თავი გადავირჩინო, — მიუგო კატამ.

— სულ ეს არის? — ჭკითხა მელიდურად მელამ, — მე ვარ მფლობელი ასი ხელობისა და, ამის კარდა, ორი ტომარა ემძაკობითა მაქვს საფეხმებრალეები შე საწყალო, მოდი ჩემთან და შე გასწავლი, თუ როგორ უნდა გადავირჩინო თავი ძაღლები-სავან.

სწორედ ამ დროს ერთი მონადირე თავის ოთხი ძაღლით მათკენ მოდიოდა. შემინებული კატა სწრა-

ფად ხეზე შეხტა და თვალის დახამ-
სამებაში კენწეროსე მოექცა, ტო-
ტებში და ფოთლებში დაიძალა.

— მოხსენ ტომარას ზირი, ბა-
ტონო შელა, მოხსენ ტომარას ზირი, —
ჩამოსძახოდა მღვდიან კატა, მკ-
რამ ძაღლებს შელა უბეუ შეუ-
ერთ და მკრათ ეჭირათ. თავიანთი
ბასრი კბილებით.

— აი, ბატონო შელა, თქვენი ასი
ხელობა უვარგისი გამოდგა და მა-
ხეში გაებით. შესე რომ ჩემსავით სე-
სე აფოფსება შეკატებოდა, მაშინ
სიცოცხლეს აღარ გამოეთხოვებო-
დიო, — ნიშნის მოკებით ჩამოსძახა
ბოლოს კატამ.

თარგმანი გერმანულიდან მა—ნისა

ნახატები გ. გორდელაძისა



ფაქიზო

ფაქიზია ეს ფაქიზო,
პაწაწინა ქალი!
ისე სუფთად ჩაცმულია,
ზედ დაგრჩებათ თვალი!
თმა აქვს კოხტად დავარცხნილი,
ორ ნაწნავად წუნული,
ხელი, პირი დაბანილი,
გაკრიავლებული;
კბილებს იწმენდს ყოველ დილით,
მუდამ, ერთხელ განა?!
არაფერს სკამს, საწინთ ხელი
თუ არ დაიბანა.
სათამაშო ღამაზ ნივთებს
მტვერს არ შიაკარებს,
დედოფლები მოვლილი ჰყავს,
სუფთად დაატარებს;
დედას შველის, ამ დილითაც
სახლი დაუგვია,
ფაქიზია და ფაქიზო
მას იმითმე ჰქვია.

ლილი სინარულიძე

ნახატი ხაზინ ნადარეიშვილისა

როგორ გაჩნდნენ დათვები

რუსული ზღაპარი

დიდხინის წინა დ ცხოვრობდნენ ერთად დგ-
დაბერი და ბერიკაცი. ლარბები იყენენ. არც
შეშა ჰქონდათ, არც პური და არც ფული.
წავიდა ბერიკაცი ტყეში და ნაჯახი წა-
იღო, შეშას მოკერიო. მიაღდა ერთ ცაცხეს
და მოუქნია ნაჯახი. ცაცხეს გააერთილა ში-
შით და უთხრა ბერიკაცს:

—ნუ მომჭრი და რასაც მთხვოვ ავირტუ-
ლებო!

—რა უნდა გთხოვო ისეთი... შეშა მინდა
თუ მომცემო?

—ძალიან კარგი! შინ წადი და შეშა იქ
დაგვხვდებაო.

დაიჯერა ბერიკაცმა და გაბრუნდა უკან.
ხედავს, რას ხედავს? მის ქობთან ბეგრი შეშა
ყრია. ვაუხარდა და დედაბერს დაუთხრა:

—გამოდი, შეხედე რამდენი შეშა გვაქვს!
დედაბერმა გამოიხედა და გაოცდა.—რო-
დის მოზიდე ამდენი შეშაო?

—ეს მე კი არა, ცაცხვმა გვიწყალობაო,
—და უაზრო დედაბერს ყველაფერი.

გაჯაგრა დედაბერი:—რაღა შეშა სთხო-
ვე, შე უბედურო, შეშას ხომ ვერ შექამ,
ფქვილი მინც ვეთხოვა, გუშინ სულ გამოგვე-
ლიაო!..

აიღო ბერიკაცმა ნაჯახი და წავიდა ისევ
ცაცხვთან.

—იცი, რა უნდა გთხოვო? შეშით კაცი
კუპს ვერ გაიძღებს! შენ მე ფქვილი მომეცი,
თორემ უნდა მოგჭრაო!

ცაცხვმა ფოთლები ააშრილა და უთხრა:
—შინ წადი და ფქვილიც დაგხვდებაო!

დაბრუნდა ბერიკაცი შინ და ნახა, რომ
საფქვილე სასე იყო მშვენიერი ფქვილით.
ამდენი ფქვილი ჯერ არ ჰქონიათ. დაუთხრა
დედაბერს და უთხრა:

—შეხედე, რამდენი ფქვილი გვაქვს! აბა,
საქმეს შეუღებო, პური დააცხეო!

მოიღუშა დედაბერი და ბუზუნნი დაიწ-



ყო:—რა მოუფიქრებელი ხარ, შე საწყალო!
ფული გეთხოვა, ის არ ჯობდაო? ფულით ყვე-
ლაფერს იყიდი კაცი, ფქვილსაც და სხვა რა-
მესაც, რაც კი გინდაო!

—ცაცხვს ფული სად აქვს, რომ მომიცესო?
—უთხრა ბერიკაცმა.

შენ ნაჯახით დაგმუქრე და, თუ კი შეშა
და ფქვილი მოგცა, ფულსაც მოგცემო.

ბერიკაცი ისევ ცაცხვთან წავიდა, მოული-
რა ნაჯახი და უთხრა:

—მომეცი, ცაცხვო, ფულები, თორემ მოგ-
ჭრიო!

ცაცხვმა კოტები დახარა და უთხრა:—შინ
წადი და ფულებიც დაგხვდებაო!

ბერიკაცი დაბრუნდა შინ და რას ხედავს?
ივდა დედაბერი მაგიდასთან და ფულებს ით-
ვლიდა. მაგიდაზე მთელი გროვა ფულები
ეყარა. მიუჯდა ბერიკაციც, თვალეს, თვალეს,
მაგრამ ვერ დათვალებს, იმდენი იყო.

ჩაყარა დედაბერმა ფულები ტომარში და
სკიერში ჩაღო, სკიერს ბოჭლოში დააღო. ხე-
ლები უკანალებდა, სახე გაფითრებული ჰქონ-
და, სულ კარებისაკე და სარკმლისაკენ იყუ-
რებოდა.

—რა უნდა ვქნათ ახლა, იღარ ვიცი! გაი-
გებენ ქურდები, ამდენი ფულები რომ გვაქვს,
მოვლენ და წაგვარბოვენო. წადი ისევ ცაც-
ხვთან, უთხარი ისე მოიმოქმედოს, რომ ხალხს
ჩენი ემინოდესო.

—ამას როგორ შეასრულებსო!—გაიკვირვა ბერიკაცმა.

—ის მოახერხებს, შენ წადი და სთხოვეო! არ უნდოდა ბერიკაცს წასვლა, მაგრამ დედაბერმა გაავლო. ბერიკაცი ისევ მივიდა ცაცხვთან და შეეხვეწა:—ასე და ასე ჩვენი საქმე, ისე ჰქენი, რომ ყველას ჩვენი ეშინოდეს, თორემ მოვლენ ქურდები და ფულებს წაგვართმევენო.

—კარგიო, —უთხრა ცაცხვმა, —წადი და ისე იქნება, როგორც თქვენ გინდათო.

გამობრუნდა ბერიკაცი გახარებული და სულ იმის ფიქრში იყო, —როგორ იქნება ეს, რომ ხალხს ჩვენი ეშინოდესო. ასეთ ფიქრებში გართული ჩავიდა ეზოში და რაღაცას ფეხი წამოჰკრა. წაიქცა ბერიკაცი და გადაიქცა დათვად. დაიწყო ბურღლენი, თავის კანტურში. უკანა ფეხზე დგებოდა და ღრიალებდა.

დათვის ღრიალზე გამოვიარდა დედაბერი, ძალიან შეეშინდა. უნდოდა გაქცეულიყო, მაგრამ რაღაცას ფეხი წამოჰკრა, წაიქცა და ვეღარ აღვა. ისიც დათვად გადაიქცა.

ასე გაჩნდა ქვეყნად დათვები და ხალხს მართლა ეშინია მათი.

თარგმნა რუსულიდან პარმენ ჰანიშვილმა

ნახატები ფარნაოზ ლაპიაშვილისა



ოქტომბრელი თამარი

— თამარიკო, მე შენ ბარაბანს არ მოგცემ, წამ და უწუმ აბრაახუნებ და არ მასვენებ.

— არა, მამილო, გენაცვალე. აღარ შეგაწუხებ, ბარაბანი მომეცი და როდესაც დაიძინებ, მაშინ დავაბრაახუნებ.

მურაბა

— დედილო, რა არის მურაბას აკეთებ და არაფერს კი არ მეთუნებო.

— აბა რა გითხრა, ჩემო ბიჭიკო?

— რა და, არ გინდა ცოტა მურაბა მოგცეთქო?

ელიკოს ჩივილი

— დედიკო, დედა, უთხარი რამე თემურის, მსხალს წაგართმევ და შევქამო, — შესჩივლა დედას ელიკომ.

— როგორ თუ წაგართმევ და შევქამო? აბა, წაგართვას და შევქამოს, მერე ნახავს, როგორ ვცემ.

— დედიკო, არ შეიძლება, სანამ წამართმევდეს და შევქამდეს, მანამდის ნახოს, როგორ სცემ?!

ენიო ნაკაშიძე


სპილოს მოფიქრება

ნამდვილი ამბავი

სპილო ძალიან ჭკვიანი და აზრიანი ცხოველია. მიუხედავად თავისი ძლიერი ღონისა, ეს უზარმაზარი ცხოველი მეტად ფრთხილია. თუ ვინმემ აწყენინა, არასოდეს არ ავიწყდება და, თუ დრო მოიხელთა, აუცილებლად სამაგიეროს გადაუხდის.

აი ერთი ამბავი, რომელიც ინგლისის თეატრში მოხდა 1810 წელს.

თეატრის დარეჟტორმა იყიდა მოწინაურებული სპილო, რომელსაც სახელად „ჩენი“ ერქვა. სპილოს უნდა მიეღო მონაწილეობა წარმოდგენაში, სადაც ის მსახიობი ქალით უნდა გადასულიყო ფიცრებით გაკეთებულ ხილზე. ჭკვიანი ცხოველი ძიუბალოვდა ხილს, ხორთუმით მოსინჯავდა სიმამრე და, რაკი დარწმუნდა, ხიდი მის სიმძიმეს ვერ გაუძლებდა, ფეხი აღარ გადადგა. რეჟისორი საშინლად გაბრაზდა და მძილოს უბრძანა ეცემა სპილოსათვის. უმოწყალო ცემის შემდეგ სპილოს კისრიდან სისხლი წამოვიდა. ამ დროს რეჟისორმა შემოვიდა მსახიობი იუნგი, რომელიც ჩაერა ამ ამბავში და მძილოს ხელიდან წაართვა რკინა, რითაც სცემდნენ სპილოს. სპილო მივარდა იუნგს, აიღო მისი ხელი, დაი-



ნახატი ვახტანგ ერისთავისა

და გასისხლიანებულ ადგილზე და თვალბთიან შიუტანა.

ყველა ააღელვა ამ სურათმა. რეჟისორმა შეროგება მოინდომა სპილოსთან და ტომრით ვაშლი შემოიტანა. სპილომ საშინლად დაიღმულა, ვაშლი ფეხით დაკულიტა და ხორთუმით შორს გადაავდო, ხოლო როდესაც ვაშლი იუნგამ მისცა, შესება, რითაც ყველას გააგებინა, რომ მან იცის მტრისა და მოყვრის ვარჩევა.

ბ. ქართველიძე

ცუდი მიმბაძველობა

ძია ნიკო მებალეს თავისი მაიმუნი ძლიერ ართობდა და ბაღში მუშაობის დროს ყოველთვის გვერდით ჰყავდა.

ერთხელ ნიკო ბაღში გველს წააწყდა. შეშინებული მაიმუნი ხეზე შეხტა. როცა ნიკომ ბარით მოჰკლა გველი, მაიმუნს გაეხარდა და ტოტებში თამაში დაიწყო.

მეორე დღეს ნიკო ბაღში ყვავილებს რწყავდა. მაიმუნი იქვე დახტა და, სველი რეზინის მილი რომ დაინახა, გველი ეგონა. გაიქცა, ბაღის კუთხეში მიყუდ-

ბული ბარი მოიტანა და მილს დაარტყა. უცებ მილიდან წყლის შდრევენი ამოსცა. მაიმუნი შეკრთა. წყლით გაწუწულს ბარი ხელიდან გაუვარდა, ფეხზე დაეცა და დაიჭრა. გულშეღონებული მიწაზე დაეწარდა. ნიკო უშალ მიიჭრა მასთან და ჭრილობა მოუსინჯა. შეებრალო. შემდეგ გარემოს მოავლო თვალი, მიხვდა რაშიც იყო საქმე და თავისთვის ჩაილაპარაკა: —ცუდი მიმბაძველობას ცუდი შედეგი მოსდევს.

ტაძოტანები


(შედგენილი ა. საჩინოელის მიერ)

- 1) ცხენს ვერ წაეტოლება,
შვილი არ ეუოლება.
- 2) რქიანი და ეროყინა,
დედასხვით ზოვინა.
- 3) კანს იცვლის და გულს არა,
შხამიანი მკებენარა.

(შედგენილი ნ. ნოდელის მიერ)

ვევლებან მისი მსე გვინათებს,
გვხიბლავს მისი მთა და ველი,
თავს ვეველებით, თავს გვეველებს,
არის მუდამ საუვარელი:
მიღშიც ვუხსილობთ,
რომ მას მტერმა
ვერ შეახოს მტრულად სული.

გასართობი



ამოცანა

მოახდინეთ უჯრედებში ასოების გადაადგილება ისე, რომ წაიკითხოთ მეცხრამეტე საუკუნის ცნობილი ქართველი პოეტის სახელი და გვარი.

შეადგინა რ. თავიდიშვილმა

სახუმარო კითხვა

ოთახში ანთია ორი სანთელი, ერთი ჩაუაქრეთ. რამდენი დარჩა?

კოხასი

(შედგენილი ალისა ფრუიძის მიერ)



შენ როგორი გირჩევენია? ^{2/65}

1096
ქართული
ლიტერატურის
საქართველოს
საბჭოთაო
კავშირების
საბჭოთაო
კავშირების
საბჭოთაო
კავშირების



საყვარელმა შემოდგომამ
მოგვიტანა ყველას ლხენა,
უამრავი ტკბილი ხილით
ჩვენი სუფრა დაამშვენა.
— შენ როგორი გირჩევენია?
აგერ კომში, აგერ მსხალი,

აგერ ვაშლი და ყურძენი
თუ ლეღვისკენ გორება თვალი?!
ეს ამდენი კარგი ხილი
შემოდგომამ. დავეიტოვა,
გმადლობთ, გმადლობთ, კიდევ
გმადლობთ
საყვარელო შემოდგომავ!.